

# მედია და ბავშვთა უფლებები

პრაქტიკული ცნობარი  
ჟურნალისტებისათვის



[www.mediawise.org.uk](http://www.mediawise.org.uk)



[www.unicef.org](http://www.unicef.org)  
[www.unicef.org/georgia](http://www.unicef.org/georgia)

მომზადებულია "მედია-უაიზის" მიერ  
გაეროს ბავშვთა ფონდისათვის

# მედია და ბავშვთა უფლებები

## სარჩევი

როგორ გამოვიყენოთ ეს ბროშურა .....	3
პროფესიონალი ჟურნალისტები და ბავშვთა უფლებები .....	4
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები .....	6
ბავშვები და დისკრიმინაცია .....	8
ბავშვები და ოჯახი .....	10
ბავშვები და შრომა .....	12
ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი .....	14
ბავშვთა ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა .....	16
ბავშვის ვინაობა .....	18
ბავშვის შეხედულებები და სამოქალაქო უფლებები .....	20
სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები .....	22
ბავშვები და მასმედია .....	24
ბავშვების მონაწილეობა მასმედიის საქმიანობაში .....	26
განათლება .....	28
ბავშვები და დანაშაული .....	30
სექსუალური ძალადობა და ბავშვების ექსპლუატაცია .....	32
სახელმწიფოს ვალდებულებები .....	34

## დანართები

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია .....	36
2. გაერო-ს „ათასწლეულის მიზნები“ .....	42
3. მსოფლიო ბავშვებისათვის .....	44
4. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო მითითებანი .....	46
5. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებები .....	48
6. ლირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი .....	49
7. სასარგებლო საერთაშორისო კონტაქტები .....	51

ამ ბროშურის მიზანია, დაეხმაროს ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მას-მედიის პროფესიონალებს ბავშვთა უფლებების უკეთ გაგებაში და ხელი შეუწყოს თავად ბავშვების მონაწილეობას მას-მედიის საქმიანობაში. ბროშურაში შეხვდებით მნიშვნელოვან მოსაზრებებსა და იდეებს ჟურნალისტებისა და იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სურთ, მასმედიაში გაშუქდეს ბავშვთა საჭიროებები, პრობლემები, მიღწევები და მისწრაფებები.

ბროშურა მიზნად ისახავს ბავშვების პრობლემების წარმოჩენას და იმ ზეგავლენის მთელი პასუხისმგებლობით გაშუქებას, რომელიც მოზრდილთა ქცევამ და მათ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება იქონიოს ბავშვების ცხოვრებაზე. გაეროს ბავშვთა ფონდისა (იუნისეფი) და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით მომზადებული ეს ბროშურა საფუძვლად დაედო მთელს მსოფლიოში ჟურნალისტებისათვის ორგანიზებულ ტრენინგებს.

იუნისეფის მიერ 1999 წელს, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ათი წლისთავის აღსანიშნავად დაკვეთილი ეს ბროშურა ეფუძნება პრაქტიკოსი ჟურნალისტების გამოცდილებას; იგი შემუშავებულია მასმედიის ეთიკის საკითხებზე მომუშავე ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "Media Wise"-ის (ყოფილი "PressWise") მიერ.

### **კვლევა და განვითარება**

პირველი გამოცემა: მაიკ ჯემპსონი და დენიზ სირლი

მეორე გამოცემა: შარლოტ ბერი და მაიკ ჯემპსონი

"Media Wise" და „იუნისეფი“ ინარჩუნებენ საავტორო უფლებას ამ ბროშურაში მოცემულ მასალაზე. თუმცა შესაძლებელია მასალების გამრავლება ტრენინგის მიზნებისათვის, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება წყაროები (საკონტაქტო ინფორმაციისათვის იხ. უკანა ყდა)

© თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველო

გამოცემულია 2011 წლის მარტში



დაიბეჭდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

## როგორ გამოვიყენოთ ბროშურა

მასმედიაში მომუშავე ადამიანებს შესანიშნავი შესაძლებლობა აქვთ იმისა, რომ საზოგადოებას რეგულარულად მოუთხრონ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ, თუ როგორ არის დაცული ქვეყანაში ბავშვთა უფლებები და გააკრიტიკონ ისინი, ვინც ვერ ასრულებს თავიანთ ვალდებულებებს ბავშვების წინაშე.

ეს ბროშურა მიზნად ისახავს უკეთ გააცნოს ჟურნალისტებს ბავშვთა უფლებები და აუხსნას მათ, თუ როგორ შეიძლება ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე საინტერესო საგაზეთო პუბლიკაციებისა და ტელე-რადიო გადაცემების მომზადება.

ბროშურა გვეხმარება ისეთი სიუჟეტების მოძებნაში, რომლებიც ეხმიანება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის სხვადასხვა მუხლში გათვალისწინებულ თემებს და გვთავაზობს საკონტროლო კითხვარებს, რომელთა მეშვეობით მასმედიის პროფესიონალებს შეუძლიათ შეაფასონ, თუ რა ადგილი ეთმობა პირადად მათ და ზოგადად მასმედიის ინდუსტრიის საქმიანობაში ბავშვთა უფლებებს.

დანართებში მოკლედ არის ჩამოთვლილი ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებები და ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართული გაეროს მიზნები (რომლებსაც ხელს აწერს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა), მოცემულია, აგრეთვე, ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები მასმედიის მუშაკებისათვის, მოცემულია კალენდარი ღირსშესანიშნავი თარიღებისა, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სიუჟეტებს და მითითებულია 60-ზე მეტი სასარგებლო საერთაშორისო კონტაქტი, რომელთაგანაც ჟურნალისტებს შეუძლიათ მოიპოვონ საჭირო ფაქტები, ციფრები, ციტატები და რჩევები.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ბროშურა გამოგადგებათ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების სწორი და პოზიტიური გაშუქებისათვის.

### ლინ გელდოფი,

მრჩეველი რეგიონული კომუნიკაციის საკითხებში იუნისეფის რეგიონალური ოფისის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში.

### მაიკ ჯემპსონი,

ორგანიზაცია "The MediaWise Trust"-ის დირექტორი

## პროფესიონალი ჟურნალისტები და ბავშვთა უფლებები

ჟურნალისტები ადამიანის უფლებათა დამცველები არიან. ისინი საზოგადოების თვალის, ყურისა და ხმის როლს ასრულებენ, საზოგადოების ყურადღებას ამახვილებენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. ხშირად ამის გამო მათ დიდი საფრთხეც ემუქრებათ. თავიანთი პროფესიის წყალობით, ჟურნალისტებს შეუძლიათ მოუწოდონ მთავრობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გაატარონ რეფორმები ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ჟურნალისტებს, ფოტოგრაფებს, ოპერატორებსა და საინფორმაციო პროგრამების ხელმძღვანელებს სააშკარაოზე გამოაქვთ, თუ რა გაუსაძლის მდგომარეობაში ხვდებიან ხშირად ბავშვები, ასევე მათზე უფროსების მხრიდან ძალადობის ფაქტები. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვებთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინება ახალი ამბების ჩვეულებრივი გაშუქების დროსაც. კანონმდებლობასა თუ ფისკალურ პოლიტიკაში განხორციელებული რეფორმების შემომნების კარგი საშუალებაა, მაგალითად, იმის შეფასება, თუ რა სარგებელს ან ზიანს მოუტანს ეს რეფორმები ბავშვებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ბავშვთა ინტერესების გაშუქებას ან თუნდაც უგულვებლყოფას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბავშვებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაზე და საერთოდ, საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბავშვების მიმართ. მასმედია ხშირად ხატავს ბავშვებს, როგორც პასიურ მსხვერპლებს ან მშვენიერ უმანკო არსებებს. აძლევს რა ბავშვებსა და მოზარდებს შესაძლებლობას, თვითონ ილაპარაკონ საკუთარ თავზე – თავიანთ იმედებსა და შიშზე, მიღწევებსა და იმაზე, თუ რა ზეგავლენა აქვს მობრძლითა ქცევას მათ ცხოვრებაზე – მასმედია შეახსენებს საზოგადოებას, რომ ბავშვები და მოზარდები იმსახურებენ მათ მიმართ პატივისცემას.

## ბავშვის უფლებათა კონვენცია

**გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია** განსაზღვრავს მთავრობებისა და კერძო პირების მოვალეობებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად მიღებული კონვენცია რატიფიცირებულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობების მიერ (გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სომალისა).

კონვენციის რატიფიცირება მთავრობებს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ ბავშვების აღზრდა უსაფრთხო და ხელშემწყობ გარემოში, სადაც ნებისმიერ ბავშვს ხელი მიუწვდება ხარისხიან განათლებაზე, ჯანდაცვაზე და აქვს ცხოვრების ნორმალური პირობები. ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელმოწერით, მთავრობები კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბავშვები დისკრიმინაციისგან, სექსუალური და კომერციული ექსპლუატაციისა და ძალადობისგან, აგრეთვე, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ ობოლ და ლტოლვილ ბავშვებს. გარდა ამისა, მთავრობები აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ უფლება:

- გამოხატონ თავიანთი აზრი, განსაკუთრებით იმ გადანყვეტილებების მიმართ, რომლებიც მათ ეხება;
- ისარგებლონ აზრის, შეხედულების გამოხატვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით;
- ჰქონდეთ პირადი ცხოვრებისა და თამაშის უფლება;
- ჩამოაყალიბონ საკუთარი კლუბები და ორგანიზაციები;
- მოიპოვონ ინფორმაცია – განსაკუთრებით, სახელმწიფოსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან;
- თავად გაავრცელონ საკუთარი შეხედულებები და ინფორმაცია.

ბავშვის უფლებათა კონვენცია გეთავაზობს გარკვეულ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი მთავრობის საქმიანობა ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. ხუთ წელიწადში ერთხელ მთავრობებმა თავიანთ მიღწევათა შესახებ ანგარიში უნდა ჩააბარონ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს. კომიტეტი ხვდება მთავრობის წარმომადგენლებს და ისმენს არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებს, რის შემდეგაც რეკომენდაციებს აძლევს მთავრობებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

ბევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიურ ოქმებს, რომლებიც ეხება ბავშვების მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში, ბავშვთა ტრეფიკინგს, პროსტიტუციასა და პორნოგრაფიას. ეს ოქმები ძალაში შევიდა 2002 წლის დასაწყისში. ისინი ასევე ავალდებულებს მთავრობებს, კონკრეტული ანგარიშები წარადგინონ ბავშვთა ექსპლუატაციის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. უკანასკნელ ხანს ბევრმა ქვეყანამ გადანყვეტა, მიერთებოდა გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის 2000 წელს ხელმოწერილ „პალერმოს ოქმს“, რომელიც ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგს ეხება.

გაეროს ყველა წევრი ქვეყანა შეთანხმდა, არ დაიშურონ ძალისხმევა ათასწლეულის რვა მიზნის მისაღწევად, რაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს ბავშვების ცხოვრების დონეს. გარდა ამისა, სულ მცირე 150 ქვეყანამ მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 182 კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ბავშვის შრომის ყველაზე უარესი ფორმების (მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციის) აღმოფხვრას შეეხება. (ეს კონვენცია ძალაში შევიდა 2000 წელს). 2001-2010 წლები გამოცხადდა „მსოფლიოს ბავშვებისათვის მშვიდობის კულტურისა და ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დეკადად“, ხოლო 2003-2012 წლები იქნება გაერო-ს „წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრისადმი მიძღვნილი დეკადა“. ის მისწრაფებები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს ამოძრავებს, ბევრ საინტერესო ჟურნალისტურ პუბლიკაციას შეიძლება დაედოს საფუძვლად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან მონიტორინგი ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ ყველაფერი იქნება გაკეთებული ბავშვების ცხოვრებაში რეალური სასიკეთო ცვლილებების მისაღწევად.

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები

- შეისწავლეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სამართლებრივი და სოციალური სტატუსი. გაარკვიეთ, რატომ არ აქვთ ასეთ ბავშვებს თანაბარი შესაძლებლობები: მათი უფლებების დამცველი კანონების არარსებობის თუ საზოგადოებაში მათ შესახებ ჩამოყალიბებული გარკვეული სტერეოტიპების გამო? განსხვავდება თუ არა ბავშვების მიმართ დამოკიდებულება და მათი შესაძლებლობები იმის მიხედვით, თუ რამდენად უნარშეზღუდულია ბავშვი? ჰკითხეთ ბავშვებს, საიდან მოდის ეს წინასწარ შექმნილი სტერეოტიპი მათ შესახებ. თავიანთი გამოცდილებით ბავშვებს შეუძლიათ დაგვეხმარონ იმ მითებისა და ცრუ შეხედულებების გაქარწყლებაში, რომლებიც „განსხვავებულ“ ადამიანებთან მიმართებაში არსებობს.
- შეუძლიათ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებს, მიიღონ სათანადო რჩევა, ფინანსური და პრაქტიკული დახმარება? უფასოა ეს დახმარება თუ არა? უამბეთ საზოგადოებას იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ეხმარებიან უნარშეზღუდულ ბავშვებს და მათ ოჯახებს.
- ბევრი უნარშეზღუდული ბავშვი ვერ ახერხებს თავისი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციას, რადგან უფროსებს ეჭვი ეპარებათ ამ შესაძლებლობებში. ეხმარებიან თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და უწყობენ თუ არა მათ ხელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის? მართავენ თუ არა ბავშვებთან კონსულტაციებს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებთან დაკავშირებით, როგორც არის განათლება, ტრანსპორტი, საზოგადოებრივ შენობებსა და თავისუფალი დროის გასატარებელ დაწესებულებებში შესვლის შესაძლებლობა, ქალაქის დაგეგმარებისას მათი საჭიროებების გათვალისწინება? რა მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მათ, როდესაც დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან?
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე პრაქტიკული პრობლემების წინაშე, რადგან მათი კონკრეტული საჭიროებები იგნორირებულია არქიტექტორების, მშენებლებისა და მენარმეების მიერ. უამბეთ საზოგადოებას იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომლებიც თქვენს და სხვა ქვეყნებში იქმნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით. რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ ამ ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი შენობები, ტრანსპორტი და სხვ.?
- გამოააშკარავეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვებთან ცუდად მოპყრობის შემთხვევები – განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვს არავინ ჰყავს დამცველი. ვინ ხელმძღვანელობს ამ დაწესებულებას და საიდან იღებს იგი დაფინანსებას? გააცანით საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მოპყრობისა და მათზე მზრუნველობის პოზიტიური მაგალითები თქვენს და სხვა ქვეყნებში. რას ფიქრობენ ბავშვები ამის თაობაზე?





## ბავშვები და დისკრიმინაცია

- თქვენს ქვეყანაში დისკრიმინაცია (მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ) ჩვეულებრივი მოვლენაა? გამოიკვლიეთ ამის მიზეზები და შედეგები – განსაკუთრებით, ბავშვების შემთხვევაში. დისკრიმინირებულ ბავშვებს მიეცით შესაძლებლობა, უამბონ საზოგადოებას, თუ რა გავლენა აქვს დისკრიმინაციას მათზე და რა გრძნობას იწვევს.
- თქვენი ქვეყნის მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაცია თუ აგროვებს და აქვეყნებს მონაცემებს ბავშვებზე? მიუთითებს თუ არა ეს მონაცემები დისკრიმინაციაზე გოგონების/ბიჭების, მდიდრების/ღარიბების, სოფლად/ქალაქში მაცხოვრებლების, ჯანმრთელების/უწარმშეზღუდულების, ეთნიკური ჯგუფების მიმართ?
- ვრცელდება თუ არა ყველა ადამიანისთვის თანასწორი უფლებების აღიარება გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებზე, ლტოლვილებზე, სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე, იმიგრანტებზე? როგორ ეპყრობიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებს ჯანდაცვის, განათლებისა და დასაქმების სამსახურები? იჩენს თუ არა თავს დისკრიმინაცია ბავშვების მიერ ერთმანეთის დაჩაგვრის შემთხვევებში?
- გამოიკვლიეთ სახელმწიფოს პრიორიტეტები, მიზნები და სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიმართულია დისკრიმინაციის შემცირებისაკენ. ვინ და როგორ ახორციელებს მათ მონიტორინგს? მოიძიეთ ინფორმაცია იმ სახელმწიფო უწყებების მუშაობის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას. აგრეთვე იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ცდილობენ ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულების აღმოფხვრას.
- უამბეთ საზოგადოებას, რა ზომებს იღებს თქვენი მთავრობა, რათა უზრუნველყოს არადისკრიმინაციული კანონებისა თუ პოლიტიკის შემუშავება და მომსახურების მიწოდება. აღნიშნეთ, რა სტრატეგიას მიმართავს ის იმ პრობლემების დასაძლევად, რომლებიც აღმოაჩინეს, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ან გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა.
- უამბეთ საზოგადოებას იმის შესახებ, თუ რას აკეთებს სახელმწიფო დაუცველი – მაგალითად, სიღარიბეში მცხოვრები ან შიდსით დაავადებული — ბავშვების დასახმარებლად. გამოიკვლიეთ ბავშვების აზრი ამ ძალისხმევის ეფექტურობაზე.

### ბავშვები და დისკრიმინაცია

- ჟურნალისტიკა ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებს, მაგრამ ხშირად იყენებს განზოგადებებსაც, რომლებიც არ არის დასაბუთებული მტკიცებულებებით. ხომ არ აღმოჩნდით თქვენც ამ მახეში, თუ პირიქით, დაუპირისპირდით იმ შეხედულებებს, რომელთა თანახმადაც, რომელიმე ეთნიკური ან საზოგადოებრივი ჯგუფის ბავშვებს ბრალად ედებათ დანაშაულის ახალი ტალღის აგორება ან სოციალური არასტაბილურობის გამოწვევა? განზოგადებები ხშირად მცდარია და ხელს უწყობს უმცირესობათა დისკრიმინაციას.
- მოიხსენიებთ თუ არა ბავშვის რასობრივ კუთვნილებას, ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიას ან ფიზიკურ ნაკლს? რამდენად მიზანშეწონილი და აუცილებელია ეს თქვენი სიუჟეტისათვის?
- რამდენად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ ფრაზები, რომლებიც გამოიყენეთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, გოგონების ან ახალგაზრდა ქალების მისამართით, შეურაცხყოფას არ აყენებს მათ და არ ამკვიდრებს სტერეოტიპებს?
- ხომ არ გამოგიტყვამთ თქვენი ვარაუდები ბავშვის კულტურული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების შესახებ? შეამოწმეთ ფაქტები სტატიის პუბლიკაციამდე.
- გაცნობიხართ თუ არა სპეციალურ პუბლიკაციებსა და პროგრამებს, რომლებიც მომზადებულია ეთნიკური უმცირესობებისათვის ან მათ მიერ, ან გილაპარაკიათ თუ არა იმ ჟურნალისტებთან, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ?
- შეგიმონმებიათ თუ არა რასისტული ან ნაციონალისტური ჯგუფების განცხადებები და დაგიბალანსებიათ თუ არა ისინი იმ ადამიანთა (მათ შორის, ბავშვების) პასუხებით, რომლებსაც ეს განცხადებები ეხება?
- შეგიმონმებიათ თუ არა ბოშა ბავშვების ან სხვა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების მოზარდთა მიმართ გაკეთებული „ოფიციალური“ განცხადებები? ხომ არ გიცდიათ, ამასთან დაკავშირებით, ბოშა ბავშვების შეხედულებები და პასუხები მოგეპოვებინათ?
- არის თუ არა თქვენი სიუჟეტი ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მატარებელ ან შიდსით დაავადებულ ბავშვებზე გამართული და დასაბუთებული სამედიცინო თვალსაზრისით? სენსაციური სიუჟეტები და ამ თემით სპეკულირება ხელს უწყობს უარყოფითი სტერეოტიპების დამკვიდრებას და აუარესებს სიტუაციას.

### ბავშვები და ოჯახი

- როგორ განსაზღვრავს კანონი თქვენს ქვეყანაში „ოჯახის“ ცნებას? ნიშნავს იგი ოჯახს ფართო გაგებით, თუ მხოლოდ ბირთვს? არის თუ არა ოჯახური კანონები და გაყრის პროცედურები სამართლიანი და ემსახურება თუ არა ისინი ბავშვის ინტერესებს? აქვთ თუ არა ბავშვებს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მაშინ, როცა სასამართლოები ან სოციალური დაცვის სამსახურები ერევიან მათ ცხოვრებაში?
- ოჯახის გადარჩენის სტრატეგია, რომელსაც მარტოხელა მშობლების ოჯახები მიმართავენ, შეიძლება გამოდგეს შესანიშნავ ჟურნალისტურ მასალად, თუ მას ფაქტიზად მივუდგებით. იგი ასევე სოციალური პოლიტიკის (როგორც არის, მაგალითად, ბავშვებზე ზრუნვის უზრუნველყოფა) ეფექტურობის კარგი ბარომეტრია. გამონახეთ არასრულ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების პრობლემების კარგად გაშუქების ხერხი ისე, რომ ისინი საფრთხის წინაშე არ დააყენოთ. მოიპოვეთ ინფორმაცია იმ „გავლენიან ჯგუფებზე“, რომლებიც ცდილობენ სიტუაციის გამოსწორებას.
- გამოიკვლიეთ მოზარდთა ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევები. როგორ ართმევენ თავს პრობლემებს ახალგაზრდა დედები? რა რეაქცია აქვთ მათ ოჯახებსა და მეგობრებს? მოზარდების აზრით, იქონიებს თუ არა მათი ასაკი გავლენას მათი შვილების ცხოვრებაზე?
- არის თუ არა მშობლების დაპატიმრებამდე გათვალისწინებული ამ დაპატიმრების შესაძლო შედეგების ზეგავლენა ბავშვებზე? შეუძლიათ თუ არა დაპატიმრებულ დედებს თან ჰყავდეთ თავიანთი ჩვილი ბავშვები? მოიძიეთ ინფორმაცია, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამას ბავშვებზე, აგრეთვე ინფორმაცია იმ კამპანიების შესახებ, რომლებიც მიმართულია საპატიმრო დანესებულებათა გაუმჯობესებისაკენ.
- რას აკეთებს სახელმწიფო იმ ოჯახების განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებსაც სურვილი აქვთ, შემოვიდნენ ქვეყანაში ან დატოვონ იგი? გააკეთეთ რეპორტაჟები იმ ოჯახებზე, რომლებსაც არ უნდათ ერთმანეთის დაკარგვა, როდესაც სხვადასხვა გარემოების ან ბიუროკრატიული პროცედურების გამო არსებობს მათი დაშორების საშიშროება. ჰკითხეთ ბავშვებს მათი გრძნობებისა და გამოცდილების შესახებ.

### ბავშვები და ოჯახი

- დაეხმარება ადამიანებს თქვენი მომზადებული მასალა იმის გაგებაში, თუ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მთავრობის ახალმა პოლიტიკამ ოჯახებზე? გამოდგება თუ არა თქვენი ინფორმაცია საიმისოდ, რომ მასზე დაყრდნობით საზოგადოების წარმომადგენლებმა დახმარება გაუწიონ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ან მოიძიონ ეს დახმარება სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებიდან?
- ეხმარება თქვენი სიუჟეტი იმის ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მუშაობს ოჯახური კანონმდებლობის სისტემა? მაგალითად, როდესაც აშუქებთ განქორწინებასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს, რომელშიც ბავშვები ფიგურირებენ, ჰფენს თუ არა ნათელს თქვენი მასალა ბავშვთა უფლებებს ალიმენტების დანესებისას ან რომელიმე მშობელთან მათი დარჩენის საკითხის განხილვისას.
- რამდენად კორექტული და ფაქტებით დასაბუთებულია თქვენს მიერ მომზადებული მასალა მეურვეობის შესახებ? შეიკავთ თუ არა თავი ბავშვის ვინაობის ხსენებისა და ბავშვებისთვის ემოციურად ზიანის მომტანი ფოტოების გამოქვეყნებისაგან? თუ სიუჟეტს ამზადებთ განქორწინების სკანდალურ შემთხვევაზე, მიიღეთ მხედველობაში, რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს თქვენმა სიუჟეტმა ამ ოჯახის ბავშვებზე? თუ იმსჯელეთ ამ საკითხზე საქმეში მონაწილე მშობლებსა და ადვოკატებთან?
- სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ – მაგალითად, ბავშვთა სახლებში, სკოლა-ინტერნატებში – მცხოვრებ ბავშვებზე სტატიის ან სიუჟეტის მომზადებისას, გაქვთ თუ არა წინასწარ გარკვეული იდენტიფიკაციის წესები და ის გარემოება, რამდენად შეუძლიათ ბავშვებს სურვილისამებრ ნახონ თავიანთი მშობლები? თუ გიკითხავთ ბავშვებისათვის ამის შესახებ და გამოგიჩვენებთ მათი შეხედულებები?
- როდესაც ბავშვებს არა აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად გამოხატონ აზრი, შეგისრულებიათ თუ არა ის პროცედურები, რომლებიც საჭიროა ბავშვებთან ან მოზარდებთან საუბრის ნებართვის მისაღებად? რამდენად სცემს პატივს ხელისუფლება ბავშვების უფლებას, გამოხატონ საკუთარი აზრი?

### ბავშვთა შრომა

- მოამზადეთ სტატია ან სიუჟეტი იმის შესახებ, თუ როგორ იცავს (ან ვერ იცავს) სახელმწიფო ბავშვებს კომერციული ექსპლუატაციისაგან: ტარდება თუ არა საინფორმაციო კამპანიები, მონმდება თუ არა სამუშაო ადგილები და შრომის პირობები, უზრუნველყოფილია თუ არა განათლება, ტრენინგი და ა.შ. მოახდინა თუ არა თქვენმა მთავრობამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29 (1930წ) ან 138 (1973წ) კონვენციების ან შრომის უკიდურესი ფორმების - იძულებითი შრომის, მონობისა და კომერციული მიზნით სექსუალური ექსპლუატაციის - აღმოფხვრის შესახებ 182 (2000წ) კონვენციის რატიფიცირება?
- შეეცადეთ აღმოაჩინოთ ბავშვთა შრომის ფარული ფაქტები: გასაიდუმლოებული ქარხნები, იძულებითი შრომა, პროსტიტუცია, გოგონები, რომლებსაც შინ ამუშავენ და სკოლაში არ უშვებენ. ესაუბრეთ იმ ბავშვებს, რომლებიც შრომობენ, მაგრამ არ გაამჟღავნოთ მათი ვინაობა. რამდენ საათს მუშაობენ ისინი? რამდენს უხდიან? თავისი არჩევანის საფუძველზე მუშაობენ? შეუძლიათ თუ არა სამსახურის სურვილისამებრ დატოვება ან ორგანიზაციებში გაერთიანება? ამონებენ თუ არა ხელმძღვანელები მათი მუშაობის პირობებს? რას აკეთებენ პროფკავშირები?
- შეამონმეთ საქონლის წარმომავლობა უნივერსიტეტებსა და სუპერმარკეტებში. იცის თუ არა მაღაზიის მენეჯერმა, სად და როგორ აწარმოეს ეს საქონელი? გაარკვიეთ, რას ფიქრობენ მომხმარებლები, განსაკუთრებით, ბავშვები თუ გამოიყენეს ბავშვთა შრომა?
- იმისათვის, რომ იარსებოს ან მართოს ოჯახური ბიზნესი, ზოგიერთი ოჯახი დამოკიდებულია ბავშვის შრომით შემოსავალზე. ხდება ამ ბავშვების ექსპლუატაცია, თუ ისინი ოჯახური ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ? რამდენ საათს მუშაობენ ეს ბავშვები? გააჩნიათ თუ არა რაიმე არჩევანი? ხომ არ აიძულებენ გაცდინონ სკოლა?
- ბავშვის თამაშის უფლება მოიცავს ახლის ძიების, წარმოსახვის უნარით სარგებლობის, საკუთარი ნიჭის განვითარებისა და სხვებთან ურთიერთობის თავისუფლებას. გადაცემები და ფოტოები ბავშვების სპორტულ მიღწევებსა თუ კულტურულ საქმიანობაზე სახალისო და იმედის მომცემია. **ჟურნალისტების** მიერ მომზადებული მასალები ბავშვების სათამაშოდ განკუთვნილი საზოგადოებრივი შენობების ნაკლებობაზე ან სახელმწიფო სექტორის მიერ ფინანსური სახსრების მოპოვების მიზნით მათ გაყიდვაზე, ისევე, როგორც სახიფათო სათამაშო მონყობილობით გამოწვეულ ტრავმებზე, ზრდიან საზოგადოების პასუხისმგებლობას ბავშვის უსაფრთხოებაზე თამაშის დროს.

### ბავშვთა შრომა

- გიფიქრიათ, რას გულისხმობს ოფიციალურად მიღებული შრომის მინიმალური ასაკი? გიფიქრიათ იმ გრძელვადიან შედეგებზე ბავშვებისა და საზოგადოებისათვის, რომლებიც შეიძლება მივიღოთ, თუ ბავშვების დიდ რაოდენობას წაართმევინ განათლების შესაძლებლობას და ექსპლუატაციას გაუწევინ მათი ასაკის, ფიზიკური მონაცემების, სქესისა და მოუწინააღმდეგობის გამო?
- გაგიმულავნებიათ თუ არა იმ დაქირავებულების ვინაობა, რომელთა წინააღმდეგაც მცირეწლოვანი ბავშვების დაქირავების გამო საქმეებია აღძრული, ანდა რომლებიც დაჯარიმებულნი არიან ბავშვთა მუშაობის ცუდი პრობების გამო? მოგიძიებიათ თუ არა სტატისტიკური მონაცემები დაქირავებულ ბავშვებს შორის მომხდარ უბედურ შემთხვევებზე?
- გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორ ჩართოთ დაქირავებული ბავშვების მოსაზრებები და შეხედულებები თქვენს სიუჟეტებში ისე, რომ ბავშვებს არაფერი დაემუქროთ?
- გაგიმახვილებიათ თუ არა ყურადღება ბავშვთა შრომის ყველაზე უფრო აშკარა ფორმებზე – მაგალითად, ქუჩის გამყიდველებზე, მანქანებისა და ფეხსაცმელების მწმენდავებზე, შიკრიკებზე და ა.შ.? გაგიკვივიათ თუ არა, რატომ და ვისთვის მუშაობენ ეს ბავშვები ან რას უხდებიან მათ? თქვენს მომზადებულ სიუჟეტსა თუ სტატიაში აღნიშნავთ იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდნენ დაქირავებული ბავშვები? ამხელს თუ არა თქვენი სიუჟეტი ან სტატია მათ ვინაობას, ვინც ბავშვებს ექსპლუატაციას უწევს?
- მიგიმართავთ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის (მათ შორის, პროფკავშირებისთვის), რომლებსაც, შესაძლოა, სანდო ინფორმაცია ჰქონდეთ კომერციული მიზნით ექსპლუატაციის შემთხვევების შესახებ? მათ თავად შეუძლიათ მოიძიონ სასარგებლო საერთაშორისო კონტაქტები და ბაზრები თქვენი სიუჟეტებისათვის.
- თქვენს რეპორტაჟებში მკაფიოდ ხაზგასმულია განსხვავება უსაფრთხო და სახიფათო სათამაშო მოედნებსა თუ გასართობ საშუალებებს შორის? თუ აღნიშნეთ, როგორ უნდა ხორციელდებოდეს მათი მოვლა-პატრონობა და მათზე ზედამხედველობა? განგიმართავთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ ბავშვი სათამაშო მოედანზე დამავდება? თუ დაგისვამთ კითხვები სპორტის ან შოუბიზნესის ვარსკვლავებისათვის მათი ბავშვობის პერიოდის სათამაშო გამოცდილებასთან დაკავშირებით?

## ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი

- ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს შეიარაღებულ კონფლიქტს ბავშვებზე – ეს შეიძლება იყოს სიცოცხლის ხელყოფის პირდაპირი მუქარა, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა, პიროვნების განვითარებისათვის ხელის შეშლა, არაპირდაპირი უარყოფითი გავლენა ბავშვებსა და მათ ოჯახებზე. გააშუქეთ ბავშვებისათვის მოსალოდნელი სხვა რისკის ფაქტორები – დანყებული სკოლების დიდი ხნით დახურვით და დამთავრებული იმ ფსიქოლოგიური ტრავმით, რომელსაც საჰაერო თავდასხმები იწვევს ბავშვებში, აგრეთვე ის ხერხები, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია მათი დახმარება და დაცვა. აღწერეთ მათი ემოციები (ცეცხლის ქვეშ ყოფნის დროს). პოლიტიკურ კონტექსტს ადამიანური შტრიხები შემატეთ.
- ხშირად ბავშვები ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებზე ილუპებიან ან სახიჩრდებიან. როგორია თქვენი მთავრობის დამოკიდებულება ნაღმების წარმოებისა და გამოყენების მიმართ? უამბეთ საზოგადოებას, რა კეთდება განაღმვის და დასახიჩრებულთა დახმარების მიზნით.
- სამხედრო კონფლიქტის შემდეგ რა კეთდება ბავშვთა დასახმარებლად: ჭრილობების/ტრავმების მკურნალობა, რეჰაბრაცია/ოჯახების გაერთიანება, თავშესაფრის/სასკოლო განათლების უზრუნველყოფა? იღებენ თუ არა ბავშვები კუთვნილ წილს გამოყოფილი რესურსებიდან? რა გავლენა აქვს რეჰაბრაციის სტრატეგიას ან ეკონომიკურ სანქციებს მათზე? დაელაპარაკეთ ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებულ და შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაობლებულ ბავშვებს.
- თუ ყოფილან გოგონები და ახალგაზრდა ქალები გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლნი – მტრის ან „თავისი“ ჯარისკაცების ან სამართალდამცავი ძალების წარმომადგენელთა მხრიდან? შედეგად, რამდენი მათგანი დაორსულდა, ან რამდენს გადაეფო სქესობრივი გზით გადაადგები დაავადებები? რა კეთდება მათ დასახმარებლად? გახდნენ თუ არა ეს გოგონები და ახალგაზრდა ქალები საზოგადოების გაკიცხვის ობიექტები?
- საომარი მოქმედებების წარმოების შემთხვევაში, რა ვალდებულებები აქვს ნაკისრი თქვენს მთავრობას ბავშვების მიმართ (ბავშვის უფლებათა კონვენცია, ჟენევის მე-4 კონვენცია და ოქმები, 1997 წლის კეიპტაუნის პრინციპები)? ხდება თუ არა 18 წელზე უმცროს პირთა სამხედრო სამსახურში განწვევა? სამხედროების, პოლიციელებისა და სპეცრაზმელების წვრთნისას არის თუ არა გათვალისწინებული ბავშვთა დაცვის აუცილებლობა? როდესაც წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაცია, რა რისკის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდნენ პოტენციური მტრების ბავშვები?

### ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი

- მოგიმზადებიათ სტატია ან სიუჟეტი იმაზე, თუ რას აკეთებს თქვენი ქვეყანა (ან ქვეყანა, რომელზეც მასალას ამზადებთ) იმისათვის, რომ დაიცვას ბავშვები ომისა და ომის შემდგომი უარყოფითი ზეგავლენისაგან? აგრეთვე იმაზე, თუ როგორ უზრუნველყოფენ ბავშვებს საავადმყოფოებით, სკოლებით, უპატრონოთა თავშესაფრებითა და კონსულტაციით?
- იყო თუ არა კონფლიქტის დროს თქვენი მოგროვებული ინფორმაცია მაქსიმალურად ობიექტური და ზუსტი? ნუ მოექცევით იმ „ჭორების მორევში“, რომელიც კონფლიქტის დაწყებისთანავე წარმოიშობა ხოლმე.
- დაიზღვიეთ თავი, რომ თქვენი მასალა ყურმოკრულ ამბავს არ დაეფუძნოს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება „ბავშვ ჯარისკაცებს“? შეამოწმეთ თუ არა, რამდენად შეესაბამება იარაღიანი ბავშვი-ჯარისკაცების იმიჯი სინამდვილეს და ხომ არ არის ეს პროპაგანდისათვის შექმნილი სპეციალური კოლაჟი, რაც ბავშვებს მეტი რისკის წინაშე აყენებს?
- რამდენად აღწერს თქვენი სიუჟეტი კონფლიქტის მონაწილე ახალგაზრდა ადამიანის რეალურ გამოცდილებას? ბავშვის ხმა უფრო მეტ ჰუმანურობას მატებს მასალას მკითხველის, მაცურებლისა და მსმენელის თვალში, მაგრამ ამას ბავშვის უსაფრთხოება მსხვერღად არ უნდა შესწიროთ და სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ ბავშვის ვინაობის დაცვას.
- დიდი სიფრთხილით მოეკიდეთ კონფლიქტში მონაწილე ბავშვთა ასახვას, რადგან გაუფრთხილებლობამ შეიძლება მათ დიდი სირთულეები შეუქმნას: ისინი შეიძლება გახდნენ სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის ან თვითმკვლელობის მსხვერპლნი. საიდუმლოდ შეინახეთ იმ ბავშვების ვინაობა, რომლებიც ძალადობის მოწმეები არიან და შეიძლება მოწმეებად დაიკითხონ სასამართლო პროცესზე, რომელიც სამხედრო დანაშაულის საქმეს განიხილავს.
- ღირსეულად წარმოაჩინეთ ის ადამიანები, რომელთა გამოცდილების გაშუქებასაც აპირებთ. როდესაც ეს შესაძლებელია, გაამჟღავნეთ მათი ვინაობა და მიუთითეთ საჭირო კონტაქსტი, მაგრამ თუ მათ ანონიმურობის შენარჩუნება სურთ, პატივი ეცით ამ სურვილს. შეეცადეთ, ბავშვებისგან წამებულის ხატი არ შექმნათ.



## ბავშვთა ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

- თვალი ადევნეთ თქვენს ქვეყანაში ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ ოფიციალურ ანგარიშებსა და სტატისტიკურ მონაცემებს – მაგალითად, მკვდრადშობადობისა და ნწლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მონაცემებს, ისეთი პრევენციული დაავადებების სისშირეს, როგორებიცაა ტუბერკულოზი და დიფთერია. მიიღეთ განმარტებები აღიარებული ექსპერტებისგან. ყურადღება მიაქციეთ, არის თუ არა სტატისტიკურ მონაცემებში დისკრიმინაციის ფაქტები.
- გამოიკვლიეთ ბავშვთა ეპიდემიები და მათი გამომწვევი მიზეზები, მათ შორის, გარემოსდაცვითი საკითხები და ჯანდაცვის სამსახურების ადეკვატურობა. არსებობს თუ არა მასობრივი იმუნიზაციის პროგრამები? როგორ ახორციელებს სახელმწიფო ბავშვთა ჯანდაცვას? შეადარეთ ჯანდაცვის სექტორის დაფინანსება სხვა საზოგადოებრივი სექტორების დაფინანსებას.
- სამშობიაროებისა და პედიატრიული სამსახურების გამოკვლევასა მოამზადეთ ისეთი სიუჟეტები, რომლებიც აქცენტს ადამიანზე აკეთებს. ხშირია მშობიარობასთან დაკავშირებული პრობლემები? რამდენად ეფექტურია და რამდენად იცავს ბავშვების ინტერესებს საავადმყოფოების მიერ შემოთავაზებული მომსახურება? რამდენად ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, როგორიც არის, მაგალითად, ძვლის ტვინის გადანერგვა ლეიკემიის დროს? უნვეთ თუ არა პაციენტებს დიდხანს ლოდინი მნიშვნელოვანი ოპერაციების გასაკეთებლად?
- როგორ ექცევიან შიდსით ინფიცირებულ ბავშვებს და სად არიან ისინი მოთავსებულნი? რა მხარდაჭერის სისტემები არსებობს? გამოიკვლიეთ, რამდენად ეფექტურია ჯანდაცვის საგანმანათლებლო კამპანიები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს, მიიღონ სათანადო ინფორმაცია და ამის საფუძველზე გადაწყვიტონ საკუთარი ჯანმრთელობისა და ბედის საკითხი, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მათ კვებას და სექსუალურ ქცევას.
- გამოიკვლიეთ ის გარემო, რომელშიც ბავშვებს უხდებათ ცხოვრება, სწავლა და თამაში. რა კეთდება სკოლებში იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაულრმავდეთ ცოდნა ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ (მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორიც არის კვება, ნარკოტიკები, დაბინძურება, დასვენება, საგზაო უსაფრთხოება, სექსუალური ქცევა, თამბაქოს მოწევა, სპორტი)?

### ბავშვთა ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

- რამდენად კარგად და ზუსტად არის მომზადებული თქვენი სიუჟეტი? ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული დაუსაბუთებელი, „შიშის აღმძვრელი“ სიუჟეტები უფრო მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე სარგებელს, გამოიწვევს გაუმართლებელ უნდობლობას როგორც სამედიცინო პერსონალის, ასევე მასმედიის მიმართ და, შესაძლოა, საზოგადოებაში პანიკაც წარმოშვას.
- ითვალისწინებთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის? (*იხ. დანართი 5*)
- გამოადგება თუ არა თქვენი სიუჟეტი ან სტატია საზოგადოებას ბავშვთა დაავადებების, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა და მკურნალობის პროცედურების გასაგებად? მიუთითეთ თუ არა თქვენს სიუჟეტსა ან სტატიაში აღწერილ სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის და დახმარების მიღებისათვის საჭირო წყაროები?
- მიიღეთ თუ არა საკმარისი და სარწმუნო ინფორმაცია ოფიციალური ორგანოებისგან? დაეხმარება თუ არა თქვენი სიუჟეტი ან სტატია ადამიანებს, უკეთესად გაერკვნენ ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ოფიციალურ ანგარიშებსა და სტატისტიკაში?
- თუ თქვენ ცდილობთ მოზარდების ცოდნის გაღრმავებას ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის/შიდსის პრობლემებთან დაკავშირებით, ჩართეთ თუ არა თქვენს სიუჟეტში მათივე მონათხრობი თავიანთი გადანყვეტილებების შესახებ? აგრეთვე განმარტებითი ინფორმაცია უსაფრთხო სექსზე, საერთო ნემსებით სარგებლობასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე?
- უწყობს თუ არა ხელს თქვენს მიერ მომზადებული მასალა დაავადებულთა მიმართ თანაგრძნობის გაჩენას, თუ პირიქით, წარმოშობს უარყოფით სტერეოტიპებს, მაგალითად, შიდსით დაავადებულების მიმართ? თქვენს მიერ მომზადებულ კორექტულ და დაბალანსებულ მასალას ძალუძს სერიოზული ზენოლა მოახდინოს ხელისუფლებაზე დაავადებულთათვის საუკეთესო მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით.

### ბავშვის ვინაობა

- მოამზადეთ ანალიტიკური მასალა თქვენს ქვეყანაში მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე და იმაზე, თუ რა გავლენა აქვს ამ კანონმდებლობას ბავშვებზე. როგორ და რა გზით შეუძლიათ ბავშვებს მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მათ მიერ მოქალაქეობის არჩევასთან დაკავშირებით? როგორ ეძლევათ მათ გვარი? ნიშნავს თუ არა ეს გვარი რაიმე განსაკუთრებულს? მათი დაბადების დამადასტურებელი რა ოფიციალური დოკუმენტები არსებობს და მიუწვდებათ თუ არა ხელი მათ ან მათ მშობლებს ამ დოკუმენტებზე? რა შემთხვევაში შეუძლიათ მათ შეასწორონ შეცდომები ან შეიცვალონ გვარი?
- გამოიკვლიეთ ბავშვთა შვილად და შვილობილად აყვანის ოფიციალური და არაოფიციალური არხები. იცავენ ისინი ბავშვებს თუ, პირიქით, დისკრიმინაციას უწევენ მათ ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ნიშნით? შეისწავლეთ ობლების, იძულებით გადაადგილებული ან ნაშვილები ბავშვების უფლებები და მათ ვინაობასთან დაკავშირებული პრობლემები. კანონის ძალით არის თუ არა მათთვის მისაწვდომი საკუთარ წარმომავლობასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია? შეუძლიათ თუ არა მოიპოვონ ინფორმაცია თავიანთი მშობლების შესახებ გენეტიკური ტესტირებით ან რომელიმე სხვა გზით? შეუძლიათ თუ არა თავისუფლად საუბარი მასმედიასთან?
- რამდენად შეუძლიათ ბავშვებს გამოიყენონ მათ მიერ არჩეული კულტურა, ენა და რელიგია? თუ აღიარებს და აფინანსებს სახელმწიფო უმცირესობათა სკოლებს? როგორ ფუნქციონირებენ ისინი და რით გამოირჩევიან? ბავშვები თავიანთი ნებით დადიან ამ სკოლაში, თუ მათი თემი აიძულებს ამის გაკეთებას? შეუძლიათ თუ არა თავისუფლად გადავიდნენ უმცირესობათა სკოლიდან ძირითად სახელმწიფო სკოლებში?
- ობიექტური ინფორმაცია მიაწოდეთ საზოგადოებას იმ ჯგუფებზე, რომლებიც ცდილობენ დაეხმარონ ეთნიკური ასიმილაციის საშიშროების წინაშე მყოფ პირებს. რა გავლენა აქვთ მათ ბავშვებზე და რა როლს ასრულებენ თავად ბავშვები ამ ჯგუფებში?
- შეისწავლეთ ის უცხოური ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ მშობლიურ კულტურას მონყვეტილი ბავშვების მიზიდვას. რა მოტივები ამოძრავებთ მათ? საიდან იღებენ დაფინანსებას?

### ბავშვის ვინაობა

- როგორ მიუთითებ ბავშვის ვინაობა თქვენს პუბლიკაციაში? შეათანხმეთ თუ არა თვითონ ბავშვებსა და მათ მშობლებთან, თუ როგორ სურთ, რომ წარმოადგინოთ?
- რამდენად სამართლიანად აშუქებთ ამბებს ბავშვებსა და მშობლებზე, რომლებსაც თვითმყოფადობის საკითხებთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ მთავრობასთან – მაგალითად, არჩეული აღმსარებლობის უფლების ან კულტურული ფასეულობების დაცვის უფლების გამო.
- კულტურული ან ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების პოლიტიკური განზრახვების მიმართ გამოთქმული პრეტენზიების გააშუქებისას, იღებთ თუ არა მხედველობაში ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრებებს და მოტივებს? აგრეთვე იმას, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს აზრთა სხვადასხვაობამ და დაპირისპირებამ ამ ჯგუფის წარმომადგენელ ბავშვთა ცხოვრებაზე? მსგავსი პრობლემური საკითხების გააშუქებისას ბავშვის რაკურსით გაკეთებული სიუჟეტები შეიძლება გაცილებით უფრო მრავლისმეტყველი აღმოჩნდეს.
- ხომ არ შეუძლია თქვენს მასალას დისკრიმინაცია და სიძულვილი გამოიწვიოს, თუ, პირიქით, ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებასა და შემწყნარებლობას სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის? თუ ემსახურება თქვენს მიერ მომზადებული სიუჟეტი ან სტატია ბავშვების უმნიშვნელოვანეს ინტერესებს — მათ უსაფრთხოებასა და დაცვას? რამდენად დაბალანსებული და რაციონალურია თქვენი მასალა?
- როცა ვამზადებთ სიუჟეტს ან ვწერთ სტატიას საკუთარი ენის მქონე უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენელ ბავშვებზე, რას ვაკეთებთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ ესმოდეოთ, რასაც მათ შესახებ ვამბობთ? ეს შეიძლება იყოს თარგმანი/სუბტიტრები, მასალის მათ მშობლიურ ენაზე გამოქვეყნება.

**ბავშვთა შეხედულებები და სამოქალაქო თავისუფლებები**

- ხელისუფლების ადგილობრივი და ეროვნული ორგანოების პოლიტიკური კურსის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევისას, არ გამოგრჩეთ ბავშვებისა და მოზარდების შეხედულებების გამოკითხვა. გამოაქვეყნეთ მათი აზრები, განსაკუთრებით, სოციალური დაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის პროექტების შესახებ, რომლებიც მათზე ახლო მომავალში პირდაპირ გავლენას იქონიებს. შეაგულიანეთ ისინი, გამოთქვან აზრი სამომავლო გეგმებზე.
- გამოიკვლიეთ, რამდენად მიუწვდებათ ბავშვებს ხელი ინფორმაციაზე და თუ არსებობს რაიმე შეზღუდვები მასალის მოპოვებაზე; მიუთითეთ, რა არის ამის მიზეზი. რამდენად იოლად შეუძლიათ ბავშვებს მოიპოვონ ძალადობისა და სექსუალური სცენების ამსახველი ფილმები, პუბლიკაციები და თამაშები? სად გადის ზღვარი გაუმართლებელ ცენზურასა და ბავშვის ზიანისაგან დაცვის მცდელობას შორის?
- ეძღვნება თუ არა სკოლებში სპეციალური გაკვეთილები სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პროცესის შესწავლას? როგორ იყენებენ ბავშვები თავიანთ უფლებას ღიად გამოხატონ შეხედულებები – მაგალითად, გამოსცემენ თუ არა ისინი საკუთარ პუბლიკაციებს, იღებენ ფილმებს, იყენებენ თუ არა ინტერნეტს, აწარმოებენ საკუთარ დღიურებს, ახდენენ არჩევნების ჩატარების იმიტაციას და ა.შ.?
- გამოიკვლიეთ, რა შეიძლება დაემართოთ ახალგაზრდებს, თუ ისინი უარს იტყვიან რაიმე სავალდებულო სამსახურის შესრულებაზე, მაგალითად, სამხედრო სამსახურსა ან საზოგადოებრივ შრომაზე? შესაძლებელია თუ არა, რომ 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა უარი თქვან სამხედრო სამსახურზე პოლიტიკური თუ რელიგიურ-ეთიკური მოსაზრებებით?
- შეისწავლეთ ბავშვთა უფლებები გაერთიანებების შექმნასა და მშვიდობიან თავშეყრაზე. უამბეთ საზოგადოებას იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც ბავშვები ამ უფლებებს იყენებენ. მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, ილაპარაკონ საკუთარ თავზე.
- მოამზადეთ სიუჟეტები ან სტატიები ახალგაზრდულ კლუბებსა და ასოციაციებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ბავშვები მართავენ. როგორ და რატომ შეიქმნა ისინი? როგორ ფუნქციონირებენ? საიდან ფინანსდებიან? რა სიძნელები შეხვედრიათ?

### **ბავშვთა შეხედულებები და სამოქალაქო თავისუფლებები**

- შეუძლია თქვენს პუბლიკაციას/პროგრამას, დაეხმაროს ბავშვებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვაში და იმ ადამიანებთან დაკავშირებაში, ვინც იზიარებს მათ შეხედულებებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს?
- ხომ არ სარგებლობთ თქვენს მასალაში ბავშვების დაუცველობით ან ხომ არ ცდილობთ, მოახვიოთ თავს ის ფასეულობები და დამოკიდებულება, რომლებიც ბავშვებს შეიძლება არც ესმოდეთ?
- ხომ არ გეკონიათ მცდელობა, თქვენი პუბლიკაციის/პროგრამის საშუალებით ბავშვებისათვის აგეხსნათ კულტურული მრავალფეროვნების საკითხები – მაგალითად, სტუმრის მონვევის, სხვადასხვა ღონისძიების გამართვისა და კონკურსების საშუალებით?
- აშუქებს თუ არა თქვენი პუბლიკაცია/პროგრამა იმ ადამიანებს (მათ შორის, ბავშვებსა და მოზარდებს), რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ ბავშვთა უფლებებსა და შეხედულებებს?
- ხომ არ გაგიშუქებიათ შემთხვევები, როდესაც ბავშვები თვითონ უკეთებენ ორგანიზებას სხვადასხვა ღონისძიებას – მაგალითად, ქმნიან სკოლის საბჭოებს, ქუჩის ბავშვების ჯგუფებს, პროფკავშირებსა და სხვადასხვა კამპანიების წარმმართველ ჯგუფებს, ისევე, როგორც სამხატვრო ხელოვნების, სპორტულ და დასასვენებელ კლუბებს, სანარმოებს (სამრეწველო, ხელოვნების ნიმუშების);
- როდესაც თქვენ ამზადებთ გადაცემას ან წერთ ბავშვთა პროტესტის შემთხვევებზე, ითვალისწინებთ თუ არა, რომ თქვენი მასალის წყალობითეს ბავშვები არ აღმოჩნდნენ დაპატიმრების, ძალადობის ან ანგარიშსწორების სხვა ფორმის რისკის წინაშე?
- გაგიშუქებიათ თუ არა, რა შედეგები მოიტანა ბავშვების მიერ აზრის ხმამაღლა გამოთქმამ – მაგალითად, რა დახმარება მიიღეს მათ ამის შედეგად, რა ცვლილებები განხორციელდა, რა რეაქცია ჰქონდათ ამაზე საზოგადო მოღვაწეებს? ხომ არ შესულხართ იმ ინტერნეტგვერდებზე, სადაც ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს (მაგ. [www.unicef.org/voy](http://www.unicef.org/voy))?

### სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები

- რა კეთდება იმ დანესებულებებში პირობების გამოსასწორებლად, სადაც ბავშვები ცხოვრობენ და სწავლობენ? შეიმჩნევა თუ არა უფრო პატარა და მყუდრო დანესებულებების შექმნის ტენდენცია? როგორ ხორციელდება მომსახურე პერსონალის მომზადება და მონიტორინგი? აკრძალულია თუ არა ფიზიკური დასჯა და, თუ აკრძალულია, სრულდება თუ არა ეს აკრძალვა? როგორ ხდება ბავშვთა სახლებში ბავშვების მიმართ ცუდად მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და მათი პრევენცია? აქვთ თუ არა ბავშვებს უსაფრთხოების გარანტია, როდესაც გამოთქვამენ პროტესტს თავიანთი ცხოვრების ყველა ასპექტის შესახებ? არსებობს თუ არა გამოძიების და გამოძიების შედეგების კონტროლის ეფექტური და დამოუკიდებელი სისტემები?
- რამდენი ბავშვი იმყოფება სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ და რატომ? რამდენად სარწმუნოა მონაცემები? რამდენი ნაშვილები/გაშვილობილებული ბავშვია? გარბის თუ არა ბევრი? რა ემართებათ ბავშვებს, როდესაც ისინი მეურვეობის ქვეშ ყოფნის ასაკს გადააბიჯებენ (რა პერსპექტივები აქვთ აკადემიური თუ დასაქმების თვალსაზრისით, ან როგორია მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა)? გაესაუბრეთ საბავშვო სკოლა-ინტერნატების სისტემაში აღზრდილებს. სად არიან ახლა ისინი? იმოქმედა თუ არა მათმა წარსულმა მათ შემდგომ ცხოვრებაზე? რას ფიქრობენ ისინი სიტუაციის გაუმჯობესების საშუალებებზე?
- რა სიტუაციაა თქვენს ქვეყანაში შვილად აყვანასა და შვილობილობასთან მიმართებაში? ექცევა თუ არა ყურადღება ბავშვების უფლებებსა და მოსაზრებებს? ცხოვრობენ თუ არა უნარშეზღუდული გაშვილებული/გაშვილობილებული ბავშვები ჯანმრთელ ბავშვებთან ერთად? მასმედიის პუბლიკაციებს შეუძლიათ სისტემის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით იქ, სადაც ინფორმაცია მწირია ან არასაიმედო.
- რეგულირდება და კონტროლდება თუ არა ბავშვების სხვა ქვეყანაში გაშვილება? რა არჩევანი ეძლევათ ბავშვებს? როგორ არიან ისინი დაცულნი ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან? აქვთ თუ არა იმ ბავშვებს, რომლებსაც ოჯახები დაატოვებინეს, სურვილი, აღწერონ თავიანთი ახალი ცხოვრება? ნანობენ თუ არა ის მშობლები, რომლებმაც ბავშვები გააშვილეს, თავიანთ გადანყვეტილებას? ხომ არ მოატყუეს ისინი? შეინარჩუნეს თუ არა კონტაქტი თავიანთ შვილებთან?

### სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები

- რამდენად უწყობს ხელს თქვენს მიერ მომზადებული მასალა იმის ახსნას, თუ როგორ მუშაობს სახელმწიფო მეურვეობის სისტემა? ნათელია თუ არა, რა სამართლებრივი უფლებები აქვთ ბავშვებს (და მათ მშობლებს) სისტემისაგან თავის დასაცავად?
- ჩაატარეთ თუ არა სათანადო კვლევა იმის დასადგენად, როგორ და რატომ მოხვდნენ ბავშვები სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ? თუ ბავშვები მიატოვეს და/ან მათ ჩაიდინეს დანაშაული, ეს აუცილებლად მათი ბრალი არ არის.
- სცადეთ თუ არა პოზიტიური ელემენტების შემოტანა, რათა საზოგადოებას მიტოვებული ბავშვებისათვის ზურგი არ ექცია და უარყოფითი სტერეოტიპების შექმნის რისკიც მინიმუმამდე დასულიყო? ხომ არ ამჟღავნებს თქვენი სტატია ან სიუჟეტი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ვინაობას ან ხომ არ უწევს მათ მფარველობას და ინვესს მათ მიმართ საზოგადოების ანტიპათიას?
- მოგიზადებიათ თუ არა სიუჟეტი ან სტატია, რომელიც საზოგადოებას მოუთხრობდა სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის არსებულ შესაძლებლობებზე, გამხდარიყვნენ კლუბების წევრები და დაემყარებინათ კონტაქტი სხვა ბავშვებთან? მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობის შესახებ გაკეთებული პოზიტიური რეპორტაჟები დაგვეხმარება არასწორი ინფორმაციისა და უარყოფითი სტერეოტიპების შემცირებაში.
- გამოიყენეთ თუ არა ყველა შესაძლებლობა, რათა მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მიგეცათ საშუალება გამოეხატათ თავიანთი აზრი?
- თქვენს სიუჟეტსა თუ სტატიაში ჩართეთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ მოზარდებს, თუ მათ პრობლემები აქვთ სახლსა ან დანესეულებებში? არსებობს თუ არა სპეციალიზებული ორგანიზაციები იმ ბავშვების დასახმარებლად, რომლებიც თავიანთი ბიოლოგიური მშობლებისგან მოშორებით იზრდებიან? შეგიძინებიათ თუ არა იმ ჯგუფების უფლებამოსილება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შეუძლიათ დაეხმარონ ბავშვებს მათი წარმომავლობის გარკვევაში?



### ბავშვები და მასმედია

- ესტუმრეთ სკოლებს/ახალგაზრდულ კლუბებს და დაელაპარაკეთ ბავშვებს თქვენი მუშაობის შესახებ. ჰკითხეთ მათ, იზიარებენ თუ არა იმ ბავშვების (მთელი მსოფლიოდან) აზრებს, რომლებსაც არ მოსწონთ, თუ როგორ წარმოაჩინს მათ პრესა. ქვემოთ ჩამოთვლილია, თუ რა აღიზიანებს ბავშვებს:
  - როდესაც არასერიოზულად ექცევიან და აიძულებენ, „მიბაძონ“ ცხოველებს;
  - როდესაც ბავშვებს გამოსახვენ ან „საყვარელ არსებებად“ ან ზედმეტად ტრაგიკულ კონტექსტში, რათა გამოიწვიონ ემოციური რეაქცია;
  - როდესაც ისინი უცოდინრები გამოჰყავთ ან ზემოდან უყურებენ;
  - როდესაც უფროსები ლაპარაკობენ მათ მაგივრად, მაშინაც კი, როცა ბავშვებმა უფრო მეტი იციან კონკრეტული საკითხის შესახებ;
  - როდესაც მათ განიხილავენ, როგორც ჰომოგენურ ჯგუფებს და არა როგორც ინდივიდებს და რომელიმე პრობლემაზე საუბრისას იყენებენ ისეთ განზოგადებებს, როგორებიცაა „თინეიჯერები“, „მოზარდები“ ან „ახალგაზრდები“.\*

\* წყარო: „**ბავშვისაგან ინტერვიუს აღება: ცნობარი ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის**“. სარა მაკკრამი და ლოტე ჰიუზი, Save the Children, გაერთიანებული სამეფო, 1998, ISBN 1 8991 20 71 8

- დაელაპარაკეთ ბავშვებს სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფებიდან. თქვენი პუბლიკაციებისათვის ისინი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და მათთან საუბრით თქვენ უთუოდ ღირებულ მასალას მიიღებთ. ისინი გაგიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება, იქნება ეს განათლება, ჯანდაცვა, თამაში, კულტურა, პოლიტიკა, ბავშვების დაჩაგვრა თუ ძალადობის სხვა ფორმები.
- გააკონტროლეთ ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სამინისტროებისა და უწყებების (მაგალითად, ომბუდსმენის) საქმიანობა. რას ფიქრობენ ბავშვები, იცავენ თუ არა ეს ორგანიზაციები მათ ინტერესებს? დაუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათ შეუძლიათ შეგახედრონ ახალგაზრდებს, რომლებსაც საინტერესო ამბების მოყოლა შეუძლიათ, თუმცა გახსოვდეთ, რომ ყველა ასეთ ორგანიზაციას ასევე საკუთარი მიზნებიც ამოძრავებს.
- გამოიკვლიეთ, როგორ იყენებენ ბავშვები ფოტოებს და საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ინტერნეტს, „ჩეთ-ფორუმებს“, მობილურ ტელეფონებს და ა.შ. იციან, როგორ დაიცვან თავი საზიანო მასალებისგან? ხომ არ მიუმართავენ მათთვის შეუფერებელი წინადადებებით მოზრდილ ადამიანებს ან კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებს?

### ბავშვები და მასმედია

- მასმედიის მუშაკები ვალდებული არიან, პატივი სცენ ბავშვების უფლებებს. პატივისცემა გამოიხატება მათ ქმედებაში ბავშვების მიმართ და ასევე ბავშვების გამოსახვის ფორმებში. უძღვებათ თქვენი შესრულებული სამუშაო და ინფორმაციის მოგროვების გამოყენებული მეთოდი კრიტიკულ განხილვას? (იხ. დანართი 4)
- რეპორტაჟის თუ სტატიის მომზადებამდე, წინასწარ შეიქმენით წარმოდგენა ბავშვების მოსალოდნელი პასუხების შესახებ? სამართლიანად გადმოეცით ბავშვების სიტყვები? თქვენს პუბლიკაციაში იცნობენ ისინი საკუთარ თავს, თუ მათი იდეები ინტერპრეტირებულია მოზრდილის თვალთახედვით?
- ბავშვებისგან ინტერვიუს აღებისას:
  - ყველაფერი გააკეთეთ, რომ ბავშვს შეზღუდვად არ ეგრძნო თავი?
  - საკმარისი დრო დაუთმეთ იმას, რომ აგეხსნათ, რას აპირებდით?
  - თუ მიიღეთ ბავშვის თანხმობა მისთვის ფოტოს გადაღებისა და ამ ფოტოსთან ერთად მისი ვინაობის თქვენს სტატიაში გამოქვეყნებაზე?
  - უთხარით თუ არა მას, როგორ დაგიკავშირდეთ დამთავრებული სიუჟეტის ასლის მისაღებად?
- განსაზღვრეთ თუ არა ის რისკი, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვი მისი ვინაობის გამჟღავნების ან ფოტოს გამოქვეყნების შემთხვევაში? განიხილეთ თუ არა ეს პრობლემა ბავშვთან, მის მშობელსა თუ მეურვესთან და სარედაქციო კოლეგიასთან ერთად?
- ბავშვის მიერ წაყენებული ბრალდებების გამოქვეყნებამდე ჩაატარეთ თუ არა ინფორმაციის უტყუარობის დადასტურებისათვის საჭირო ყველა ის პროცედურა, რომელსაც ჩაატარებდით მოზრდილი ინფორმატორის ინფორმაციის შესამოწმებლად?
- თუ ინტერვიუს იღებთ ბავშვისაგან მისი ჯანმრთელობის, კომერციული ექსპლუატაციის, მასზე ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ან სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, უზრუნველყოფს თუ არა თქვენი პუბლიკაცია/პროგრამა ამ ბავშვების საიმედო და კონფიდენციალურ მხარდაჭერას?

### ბავშვები მასმედიაში

- მასმედია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროშია შემოჭრილი. პროფესიონალ ჟურნალისტებს შეუძლიათ ასწავლონ ბავშვებსა და მოზრდილებს მასმედიის ანაბანა, განუმარტონ, თუ როგორ მუშაობენ ისინი, დაეხმარონ მათი „მესი-ჯების“ უკეთ გაგებაში.
- მნიშვნელოვანია, ყურადღებით დავგვემთ ბავშვთა მონაწილეობა მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალების მუშაობაში, რათა ყველას ესმოდეს, რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა. თუ თქვენს კომპანიას მართლაც სურს, ჩართოს ბავშვები მასმედიაში, მან უნდა გამოიყოს სპეციალური ექსპერტი/მრჩეველი/კორესპონდენტი/რედაქტორი, რომელიც ბავშვებთან იმუშავებს და შეიმუშავებს ძირითად წესებს რედაქციისათვის: შექმნის უსაფრთხო გარემოს რედაქციაში, დაანესებს მონიტორინგს, მოამზადებს ბავშვებთან მომუშავე ჟურნალისტებს, შეარჩევს ბავშვებს, დაადგენს სარედაქციო პოლიტიკის შესაბამის მიმართულებებს. შესანიშნავი დასაწყისი იქნება ჟურნალისტთა ახალგაზრდული კლუბებიდან იმ წევრების მოზიდვა, ვინც კარგად არის გარკვეული საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა გამოყენებაში.
- თუ აუცილებელია ბავშვების სამუშაო ადგილზე ყოფნა, კომპანიამ წერილობითი თანხმობა უნდა მიიღოს მათი მშობლების ან მეურვეებისაგან. კომპანიამ უნდა გამოიყოს სათანადო ადგილი ბავშვების თანმხლებ პირებს, უნდა მოაწყოს პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, შეუქმნას ბავშვებს დასვენებისა და კვების პირობები, უზრუნველყოს ისინი ტრანსპორტით.
- გააცანით მოზარდებს ჟურნალისტური ტექნიკის ძირითადი ელემენტები და მასმედიის პროდუქციის შექმნის წესები. მიეცით მათ საშუალება, თავად შეარჩიონ სამუშაო თემები.
- რა წვლილის შეტანა შეგიძლიათ თქვენ და თქვენს კომპანიას ბავშვთა ტელერადიომაუნყებლობის საერთაშორისო დღის აღნიშვნაში? ბავშვთა ტელერადიომაუნყებლობის საერთაშორისო დღისა და საბავშვო მედიის სხვა საინტერესო პროგრამების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ინტენერტში შემდეგ მისამართზე: [www.unicef.org/magic](http://www.unicef.org/magic). ამ გვერდს აქვს ბმულები მასმედიის პროფესიონალებისა და ახალგაზრდა ჟურნალისტების მსოფლიო ქსელთან, აგრეთვე ევროპისა და ცენტრალური აზიის ახალგაზრდული მასმედიის ქსელთან.

### ბავშვები მასმედიაში

- შეისწავლეთ თუ არა თქვენ და თქვენმა კომპანიამ ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რისკები, რომლებიც თან ახლავს ბავშვების მონაწილეობას მასმედიის პროექტებში? შეიმუშავეთ პროცედურები, დირექტივები და კონტროლის მექანიზმები, რათა დაიცვათ თქვენთან ერთად მომუშავე ბავშვები? ასეთი მექანიზმებია, მაგალითად, ბავშვების თანმხლები პირები, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებები.
- დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი პროექტი არ ახდენს ბავშვებით სპეკულირებას კომერციული მიზნით?
- ჩაუტარდათ ბავშვებსა და თანამშრომლებს სპეციალური მომზადება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ნებადართული და რა არა? იცინათ თუ არა მათ მასმედიაში მუშაობის მარეგულირებელი წესები? არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც შეიძლება რჩევა ჰქვიათ?
- დაბნეულობისა და იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად, თავიდანვე ხომ არ ავიხსნიათ ბავშვებისათვის, რა სარედაქციო კონტროლი დაუნესდებათ მათ? რამდენად რეალისტურად ესმით ზედამხედველებს ის, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ ბავშვებს და რა შეიძლება გააკეთონ მომავალში?
- არსებობს თუ არა რაიმე სისტემა, რომლის საშუალებითაც ბავშვები შეაფასებენ თავიანთ მუშაობას? გიკითხავთ მათთვის, რას ფიქრობენ იმაზე, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა მათ ნამუშევარს? შეგიტყობინებიათ მათთვის გამოხმაურების შესახებ?
- გსმენიათ რაიმე “რადიო მანიფესტო”-ს შესახებ, რომელიც შექმნეს ახალგაზრდა მაუწყებლებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან? ([www.worldradioforum.org](http://www.worldradioforum.org)) იცით თუ არა, რომ სამ წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიო სამიტი „მასმედია ბავშვებისა და მოზარდებისათვის“? (იხ. ინტერნეტ-გვერდი [www.childrensmediasummit.com](http://www.childrensmediasummit.com)); გსმენიათ თუ არა „გაზეთების ახალგაზრდა მკითხველთა მსოფლიო ასოციაციის“ შესახებ (იხ. ინტერნეტ-გვერდი [www.wan-press.org](http://www.wan-press.org))?

### განათლება

- გამოიკვლიეთ, განათლების მიღების რამდენად თანაბარი უფლებები აქვთ ბიჭებსა და გოგონებს, სოფლად და ქალაქად მცხოვრებ ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ ბავშვებს.
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ზეგავლენა მოახდინონ სასკოლო დისციპლინასა და სკოლის შინაგანაწესზე სასკოლო საბჭოების მეშვეობით? შეუძლიათ ბავშვებს თვითონ აირჩიონ საგნები? გაარკვიეთ, რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მშობლებს სასწავლო პროგრამებსა თუ განათლების სისტემაზე. რა როლს თამაშობენ ისინი სკოლის მართვაში?
- შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებები – სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები. ახერხებს თუ არა ყველა ბავშვი განათლების მიღებას სწავლის საფასურიდან გამომდინარე?
- შეადარეთ მასწავლებელთა რაოდენობა მოსწავლეებისას. რა მნიშვნელობა აქვს კლასის სიდიდეს? რა რესურსები აქვთ მასწავლებლებს? მიუწვდებათ თუ არა ბავშვებს ხელი თანამედროვე აპარატურაზე? შეამოწმეთ სასკოლო შენობების უსაფრთხოება.
- ნებადართულია თუ არა განათლების „ალტერნატიული“ მეთოდები? რით განსხვავდება ალტერნატიულ მოდელზე დაფუძნებული სკოლების სწავლების მეთოდოლოგია, დასწრების მაჩვენებლები, დისციპლინა და შედეგები ძირითადი სკოლების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან?
- რა მეთოდებს იყენებენ სკოლები ცელქი ბავშვების წინააღმდეგ? დასჯის მეთოდები სამართლიანია თუ სასტიკი? ისევე მიმართავენ მასწავლებლები ფიზიკური დასჯის მეთოდებს? შეუძლია თუ არა ბავშვს საჩივრის შეტანა, როცა მას სკოლიდან რიცხავენ? რა ემართება მას შემდეგ? როგორ ებრძვიან სკოლებში ბავშვების მიერ ერთმანეთის დაჩაგვრის პრობლემას? გვხვდება თუ არა მასწავლებლების მიმართ ძალადობის შემთხვევები? თუ კი, რა არის ამის მიზეზი?

### განათლება

- იცით თუ არა, როგორ უნდა მუშაობდეს თქვენი ქვეყნის განათლების სისტემა? ხომ არ სწვევიხართ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და გაგირკვევიათ, რა პრობლემები, ცვლილებები და პოზიტიური ინიციატივები არსებობს დღეს განათლების სისტემაში?
- არსებობს თუ არა თქვენს გამომცემლობაში ან სამაუწყებლო კომპანიაში სპეციალიზებული საგანმანათლებლო ქვედანაყოფი? ვინ ამზადებს თქვენს გამოქვეყნებულ მასალებს – სპეციალური კორესპონდენტი, განათლების დარგის სპეციალისტი თუ მასწავლებელი? როგორ ახერხებთ იმას, რომ ბავშვებმა და ახალგაზრდებმა ამ საქმიანობაში თავიანთი წვლილი შეიტანონ?
- რამდენად ასახავს განათლებასთან დაკავშირებული თქვენი სტატიები ან სიუჟეტები მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა თვალსაზრისს? მიგიღიათ თუ არა კომენტარები მშობლებისაგან, სკოლის ადმინისტრაციისაგან, მასწავლებლებისა თუ მათი პროფკავშირებისაგან?
- იციან თუ არა ბავშვებმა, რომ შეიძლება მოხდეს მათი ნათქვამის ციტირება? დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სტატია არ შეუქმნის მათ ისეთ პრობლემებს, რომლებზე წარმოდგენაც არა აქვთ?
- რას აკეთებთ იმისათვის, რომ ბავშვებმა უკეთ გაათვითცნობიერონ მასმედის როლი საზოგადოებაში? ხომ არ უფიქრია თქვენს კომპანიას ინფორმაციის ისეთი სახით მომზადებაზე, რომ იგი მიმზიდველი იყოს ბავშვებისთვის და დაეხმაროს მასწავლებლებს ბავშვებთან მუშაობაში?
- როგორ იყენებს თქვენი ორგანიზაცია ინტერნეტს? ხომ არ იცით, როგორ იყენებენ მას ბავშვები? ქმნის თუ არა თქვენი კომპანია ისეთ მასალას, რომლის ელექტრონული ვერსიის მიღებაც ბავშვებს სურთ? ხომ არ განგიხილავთ შესაძლებლობა, რომ, სკოლებთან ინტერაქტიული კავშირების დამყარების გზით, მოგეხერხებინათ ბავშვების ჩართვა ახალი ამბების და მიმდინარე მოვლენების შესახებ გამოშვებებსა და სხვა გადაცემებში?

### ბავშვები და დანაშაული

- მხედველობაში იქონიეთ ისტორიები ბავშვებსა და დანაშაულზე. უფრო სავარაუდოა, რომ ახალგაზრდები გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი და არა ჩამდენნი. გააშუქეთ მშრალი სტატისტიკის მიღმა მიჩქმალული ადამიანური ისტორიები. გაამახვილეთ ბავშვების ყურადღება საფრთხისაგან საკუთარი თავის დაცვის მეთოდებზე.
- ერთნაირად ეკიდება თუ არა კანონი ბავშვს, მოზარდსა და მოზრდილ ადამიანს? როგორია დამოკიდებულება იმ მოზარდების მიმართ, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ? არის თუ არა ახალგაზრდა დამნაშავეების/ექვმიტანილების უფლებები დაცული? გადიან თუ არა მოსამართლეები, ადვოკატები, პოლიციელები და ციხის ზედამხედველები მომზადებას ბავშვთა უფლებების სფეროში? ბავშვების ნათქვამს ისევე უგდებენ ყურს და ითვისისნიებენ, როგორც უფროსებისას?
- როგორი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებს პოლიციის მიმართ? როგორ ეპყრობიან პოლიციელები ბავშვებს, განსაკუთრებით, უსახლკარო და დაპატიმრებულ ბავშვებს?
- რა შეზღუდვები ვრცელდება ჟურნალისტიკაზე, რომლებიც აშუქებენ ბავშვთა სასამართლო პროცესებს, მათი დაკავებისა და პატიმრობის შემთხვევებს? რამდენად მიზანშეწონილია ეს შეზღუდვები? არსებობს თუ არა კანონი, რომელიც დაიცავს იმ ბავშვთა ვინაობის გამოქვეყნებას, ვისაც კანონის დარღვევა ედება ბრალად?
- სასამართლო სისტემა უპირატესობას რეაბილიტაციას ანიჭებს თუ დასჯას? ჯერ კიდევ იყენებენ თუ არა ფიზიკურ დასჯას დანესებულებებში ან სასჯელად დანაშაულისათვის? მოიძიეთ მონაცემები იმ ბავშვების რაოდენობასა და ცხოვრების პირობებზე, რომლებიც იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებებში ან სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ. მიმართავენ თუ არა თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში? რამდენად ადეკვატური და ეფექტურია პრობაციისა და რეაბილიტაციის სამსახურები?
- დაადგინეთ, რა რაოდენობით იყენებენ ნარკოტიკებსა და მათ შემცველებს ბავშვები. რატომ მოიხმარენ ნარკოტიკებს? რამდენად ხელმისაწვდომია ძლიერი ნარკოტიკები? ნარკოტიკების მოხმარებისათვის ბავშვებს კრიმინალურად აცხადებენ და სჯიან თუ სარეაბილიტაციო თერაპიის კურსს უნიშნავენ? უტარებენ თუ არა მათ კონსულტაციებს ანტინარკოტიკული განათლებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების შინაარსისა და ტიპის შესახებ?

### ბავშვები და დანაშაული

- ბავშვების სასტიკი და ანტისოციალური საქციელის საფუძველი მოზრდილთა ძალადობა და ბავშვებისადმი მათი დამოკიდებულებაა. ხომ არ გულისხმობს თქვენი სიუჟეტი ან სტატია იმას, რომ ახალგაზრდა დამნაშავეებს უფრო ნაკლები უფლებები უნდა ჰქონდეთ, ვიდრე სხვა ადამიანებს?
- გამოიყენეთ თუ არა ახალგაზრდა კანონდამრღვევების ვინაობა და ფოტოები იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭირო არ იყო? ვინაობის გაუმართლებელმა გამჟღავნებამ შესაძლოა ისინი დამატებითი რისკის წინაშე დააყენოს: შეუქმნას მათ ცუდი რეპუტაცია და არ მისცეს რეაბილიტაციის შესაძლებლობა, ან საერთოდ წაართვას უფლებები.
- გააკეთეთ თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც გახდნენ სახელმწიფოს ან საზოგადოების მხრიდან ბრალდების ობიექტები, ჰქონდეთ პასუხის გაცემის შესაძლებლობა? ნუ დაასკვნით, რომ უსახლკარო ბავშვები მაინცდამაინც დამნაშავეები არიან.
- გაარკვიეთ თუ არა, რა შედეგი მოჰყვა თქვენს სტატიას ან სიუჟეტს ბავშვების დაპატიმრების ან მათთვის სასჯელის შეფარდების შესახებ? ახლა ისინი უსაფრთხოდ არიან? თუ ისინი დაკავებულნი არიან, რა პირობებში ცხოვრობენ? სასჯელს სხვა ბავშვებთან ერთად იხდიან თუ მოზრდილებთან ერთად? მიუხედავად თუ არა ხელი შესაბამის მომსახურებაზე, მაგალითად, იურიდიულ რჩევებზე?
- რამდენად სწორად გააშუქეთ ნარკომანებისა და ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა და ეყრდნობა თუ არა თქვენი სიუჟეტი ან სტატია მეცნიერულ მონაცემებს? ცრუ და სენსაციულზე გათვლილი რეპორტაჟებით ვერ მოვახერხებთ ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბებას, რომელიც მოგვცემს ნარკომანების დახმარების ან ნარკოტიკებით მოვაჭრეებისათვის ბრალდების წაყენების საშუალებას. ხომ არ გაგირკვევიათ, ვინ ამარაგებს ბავშვებს ნარკოტიკებით? საზოგადოების დიდი ნაწილი ინფორმაციას მასმედიის საშუალებით იღებს. ხომ არ გიფიქრიათ, რომ ბავშვებისა და მშობლებისათვის მოამზადოთ სიუჟეტები, რომლებიც მოუთხრობენ მათ სხვადასხვა ნარკოტიკის განსხვავებულ ეფექტზე, ისევე, როგორც მკურნალობის მრავალგვარ პროცედურებზე?



## ბავშვებზე სექსუალური ძალადობა და ბავშვების ექსპლუატაცია

- გააშუქეთ სექსუალური განათლების საკითხები და კანონმდებლობა ბავშვებთან დაკავშირებული სექსუალური ქმედების შესახებ. რა პრინციპების საშუალებით იქნა დადგენილი სექსობრივი კავშირებისათვის დასაშვები ასაკის ქვედა ზღვარი?
- შეისწავლეთ ბავშვების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის ფაქტები და ამ საკითხების ირგვლივ არსებული ტაბუ. შეისწავლეთ სხვა ქვეყნებში ოჯახებში არსებული სექსუალური ძალადობის ფაქტები. რამდენად დაზუსტებული ინფორმაციაა შეგროვებული ამ საკითხზე და ქვეყნდება თუ არა აღნიშნული ინფორმაცია? შეუძლიათ თუ არა ბავშვებს (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან დაპატიმრებულ ბავშვებს) მშვიდად იგრძნონ თავი ოჯახში, სკოლაში თუ რომელიმე დანესებულებაში მათ მიმართ სექსუალური ძალადობის თაობაზე სარჩელის შეტანისას? როგორ ხდება პოლიციელების, სოციალური მუშაკების, მასწავლებლებისა და ჯანდაცვის პერსონალის მომზადება, რათა მათ ბავშვებს დახმარება აღმოუჩინონ? როგორ ხდება კონფიდენციალურობის დაცვა, ბავშვების დაცვა და მხარდაჭერა, მათთვის რჩევების მიცემა?
- ითვლება თუ არა დანაშაულად იმგვარი პორნოგრაფიული მასალის შექმნა, ფლობა და გავრცელება, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ? რამდენად ეფექტურია ზომები, რომლებიც მიმართულია ბავშვთა ექსპლუატაციისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ და ბავშვთა დასაცავად პორნოგრაფიისაგან, სატელეფონო სექსუალური მომსახურებისა და ინტერნეტ-სექსისაგან?
- გააშუქეთ ის იურიდიული პროცედურები, რომლებიც მოჰყვება ასეთ საჩივრებს. რამდენად არიან დაცულნი მონმე ბავშვები? გამოძიების მიმდინარეობისას მათ დამნაშავეების სახით განიხილავენ თუ დაზარალებულების? შესაძლოა თუ არა ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი დევნა ან ექსტრადირება ბავშვების მიმართ სხვა ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულის გამო?
- ჩაატარეთ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოძიება როგორც ბავშვების, ისე ჟურნალისტების მიმართ სათანადო უსაფრთხოების დაცვით და პროფესიონალთა მხარდაჭერით. საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს როგორც ოჯახებში, ისე კომერციული მიზნებით ექსპლუატირებულ ბავშვების უსაფრთხოებას.
- საზოგადოების შემფოთებას იწვევს კომერციული ტურიზმის დროს ტურისტების მხრიდან ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობა. ხდება თუ არა თქვენს ქვეყანაში იმ ადამიანების სისხლის სამართლებრივი დევნა, რომლებიც სხვა ქვეყნებში ბავშვების მიმართ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ?

**ბავშვებზე სექსუალური ძალადობა და ბავშვების ექსპლუატაცია**

- არის თუ არა თქვენი სიუჟეტი ან სტატია კომერციული მიზნით ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციაზე ზედმინევნით ზუსტი? ზედმეტად „შოკის-მომგვრელი“ ხომ არ არის – მაშინაც კი, როდესაც თქვენი მიზანია, ამხილოთ კრიმინალური საქმიანობა ან ხელისუფლების გულგრილობა?
- რა სახით წარმოაჩინეთ ექსპლუატირებული ბავშვები: მსხვეპლებად, დამნაშავეებად თუ პიროვნებად, რომელთაც ღირსება და უფლებები გააჩნიათ? ხომ არ იყო შესაძლებელი ან მიზანშეწონილი, მიგეცათ ბავშვებისთვის საშუალება, თავად მოეთხროთ საკუთარ თავზე? შესაძლებელია თუ არა, რომ თქვენს მიერ სიტყვების ან ფოტოების გაუფრთხილებელმა გამოყენებამ გაამჟღავნოს ბავშვის ვინაობა? ხომ არ იძლევა თქვენი სიუჟეტი თუ სტატია ამ ბავშვების ადგილსამყოფელის გაგების საშუალებას?
- მიიღეთ ბავშვებისაგან თანხმობა, რომ მათთვის ფოტოები გადაგეღოთ? მიიღეთ ასეთივე თანხმობა ბავშვზე პასუხისმგებელი უფროსისაგან? ესწრებოდა თუ არა იგი გადაღებას? თქვენს მიერ მასალის ილუსტრირების მიზნით გამოყენებული ფოტოები ბავშვს ძალადობის მსხვერპლად წარმოაჩენს თუ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბავშვს თვითონ ჰქონდა სურვილი, გამხდარიყო სექსის ობიექტი? რა გააკეთეთ იმისათვის, რომ გამოირიცხოს ბავშვთა ფოტოების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა?
- ხომ არ შეიძლება, რომ თქვენმა სიუჟეტმა ან სტატიამ „რეკლამა გაუწიოს“ „სექს-ტურიზმს“, პორნოგრაფიას ან ბავშვთა ექსპლუატაციის სხვა ფორმებს? რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ ეს მასალა არ აღმოჩნდება პორნოგრაფიულ პუბლიკაციებში ან გამოცემებში, რომლებიც რეკლამას უწევენ სექს-მომსახურებას?
- რა ფსიქოლოგიური გავლენა შეიძლება მოახდინოს ბავშვებზე ამ მასალის გამოქვეყნებამ? რა დაცვის სისტემა შექმენით მათთვის? არსებობს თუ არა კონფიდენციალური სატელეფონო ხაზი, რომელზეც ბავშვები, სურვილის მიხედვით, შეიტყობენ სექსუალური ძალადობის სხვა შემთხვევების შესახებ? არსებობს თუ არა მხარდაჭერის სამსახურები იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებსაც შეიძლება პრობლემები შეექმნათ ამ საკითხების გაშუქების მცდელობისას?

### სახელმწიფოს ვალდებულებანი

- როგორ ახორციელებს თქვენი მთავრობა ბავშვის უფლებათა კონვენციას? ახდენს თუ არა კონვენციის პრინციპებისა და დებულებების პოპულარიზაციას? ხომ არ აგვიანებს იგი ჟენევაში ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვის ანგარიშების წარდგენას? თუ აგვიანებს, რა არის ამის მიზეზი? მიმდინარეობს თუ არა კონსულტაციები საზოგადოებასთან?
- გახდა თუ არა ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ბავშვის უფლებათა კომიტეტის პასუხები? შედეგად დაიგეგმა რაიმე ღონისძიებები? როდის უნდა წარედგინოს კომიტეტს შემდეგი ანგარიში? შეისწავლეთ კომიტეტის მუშაობა. აიღეთ ინტერვიუ კომიტეტის იმ წევრისაგან, რომელიც თქვენს რეგიონზეა პასუხისმგებელი.
- აიღეთ ინტერვიუ იმ პირებისაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მონიტორინგი გაუწიონ კონვენციის მოთხოვნათა შესრულებას. გაარკვიეთ მათგან, რა არის პროგრესის (ან მისი არარსებობის) მიზეზი. ჰკითხეთ ბავშვებს, თუ რა კითხვებზე აინტერესებთ მათ პასუხის მიღება. მიიღეთ დაპირებები ოფიციალური პირებისაგან ბავშვების ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკის განხორციელების თაობაზე ან ბავშვების კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებული საქმიანობის თაობაზე.
- როგორ თანამშრომლობს თქვენი მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით? აგზავნიან თუ არა ეს ორგანიზაციები თავიანთ ანგარიშებს ბავშვის უფლებათა კომიტეტში? რამდენად ზუსტია ამ ორგანიზაციების მიერ მოგროვებული ფაქტები და ხომ არ ეწინააღმდეგება ისინი ოფიციალურ მონაცემებს?
- გააშუქეთ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებას. როგორ აფასებენ მათ ბავშვები? შეადარეთ მათი ცხოვრება მათი მშობლების ბავშვობის პერიოდს.

### სახელმწიფოს ვალდებულებანი

- ეხმარება თუ არა თქვენი პუბლიკაციები საზოგადოებას, უკეთ გაიგოს ბავშვების პრობლემები და მთავრობის პოლიტიკა ამ უფლებების დაცვასთან დაკავშირებით?
- ჟურნალისტებს შესანიშნავი საშუალება აქვთ, რომ მოსთხოვონ მთავრობას მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. შეუძლია თუ არა თქვენს პუბლიკაციას/პროგრამას საფუძველი ჩაუყაროს კამპანიებს, რომელთა მიზანი იქნება კონვენციის შესახებ საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ცოდნის ამაღლება?
- გისაუბრიათ თუ არა ექსპერტებთან, ბავშვთა უფლებების დამცველებსა და თავად ბავშვებთან, რათა მეტი გაგეგოთ თქვენს ქვეყანაში მცხოვრები ბავშვების პრობლემების შესახებ?
- ხომ არ გიცდიათ, მიგელოთ განმარტებები ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისაგან, თუ რატომ ვერ ახერხებენ ისინი ბავშვთა უფლებების დაცვას და ბავშვზე ზრუნვის ადეკვატური სამსახურების შექმნას?
- მიგიციათ თუ არა ბავშვებისათვის შესაძლებლობა, თავად ესაუბრათ, რათა მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებას უკეთ გაეგო მათი პრობლემები?
- ხომ არ შეგიმონებიათ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული პრეტენზიები და ხომ არ მიგიქცევიათ საზოგადოების ყურადღება მათ წარმატებებსა და მუშაობის ნაკლოვანებებზე?
- ხომ არ გიფიქრიათ, როგორი ფორმით შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რათა ერთობლივად შეიმუშაოთ საინფორმაციო და საკონსულტაციო მასალები საზოგადოების იმ დაინტერესებული წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ხშირად რეაგირებენ თქვენს სიუჟეტებზე?

## **რეზიუმე ჟურნალისტებისთვის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ**

პრეამბულაში ლაპარაკია გაეროს ძირითადი პრინციპების, კერძოდ, მშვიდობის, ღირსების, ტოლერანტობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთების შესახებ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული შეთანხმებებისა და დეკლარაციების დებულებების შესახებ.

კონკრეტულად არ არის მოხსენიებული ჟურნალისტის პასუხისმგებლობა, მაგრამ პროფესიონალმა ჟურნალისტებმა — საზოგადოების სადარაჯოზე მდგომმა ადამიანებმა — საგანგებო როლი უნდა შეასრულონ, როდესაც ხელისუფლება უგულვებლყოფს თავის ვალდებულებებს ბავშვების მიმართ.

### **1. ბავშვის ცნების განსაზღვრა**

ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში.

### **2. დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან და მიიღოს ყველა ზომა მისი უფლებების დასაცავად.

### **3. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები**

ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის შესაბამისი დაცვა და მისი ჭეშმარიტი ინტერესების რეალიზება თუ ბავშვის მშობლები ან ის პირები, რომელთაც მისი დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

### **4. ბავშვის უფლებების განხორციელება**

სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისათვის.

### **5. მშობლების მიერ ბავშვთა აღზრდა და ბავშვთა მზარდი შესაძლებლობანი**

სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მშობლებისა და იმ პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბავშვის აღზრდასთან.

### **6. სიცოცხლისა და განვითარების უფლება**

ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის განუყოფელი, ხელშეუხებელი უფლება და ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება.

### **7. ბავშვის სახელი და მოქალაქეობა**

ბავშვს დაბადებიდანვე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი და მოქალაქეობა.

## **8. ბავშვის ვინაობის შენარჩუნება**

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას და, აუცილებლობის შემთხვევაში, აღადგინოს ბავშვის ვინაობის დამადასტურებელი მონაცემები (სახელი, მოქალაქეობა, ოჯახური კავშირები).

## **9. მშობლებისათვის ბავშვის ჩამორთმევა**

ბავშვებს აქვთ უფლება, იცხოვრონ მშობლებთან ერთად, თუკი ეს საზიანო არ არის მათი ინტერესებისათვის; მშობლების დაშორების შემთხვევაში ბავშვებს აქვთ უფლება, შეინარჩუნონ ურთიერთობა ორივე ან ერთ-ერთ მშობელთან და მიიღონ ინფორმაცია მათი მშობლების ადგილსამყოფელის შესახებ, თუკი მათი განცალკევება არ მოხდა სახელმწიფოს ჩარევის შედეგად.

## **10. ოჯახის გამთლიანება**

ბავშვებსა და მათ მშობლებს უფლება აქვთ, ნებისმიერი ქვეყნიდან დაბრუნდნენ თავის სამშობლოში ოჯახის გამთლიანებისა და ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით.

## **11. ბავშვთა გატაცება და უკანონოდ შენარჩუნება**

სახელმწიფო ვალდებულია, აღკვეთოს ერთ-ერთი მშობლის ან შესამე პირის მიერ ბავშვის გატაცებისა და სხვა ქვეყანაში ბავშვის დაკავების მცდელობა.

## **12. ბავშვის შეხედულებები**

ბავშვს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი აზრი და ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ეს აზრი გათვალისწინებულ იქნება მის

ბედთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადანწყვეტისას.

## **13. აზრის გამოთქმის თავისუფლება**

ბავშვს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი აზრი, მიიღოს ან გაავრცელოს რაიმე ინფორმაცია, ოღონდ ისე, რომ ამით არ დაარღვიოს სხვების უფლებები.

## **14. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება**

ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლება, რაც არ გამორიცხავს მშობლების მხრიდან შესაბამის ხელმძღვანელობასა და ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებას.

## **15. შეკრებისა და გაერთიანებათა შექმნის თავისუფლება**

ბავშვს აქვს სხვა ადამიანებთან შეხვედრისა და გაერთიანებებში შესვლის ან მათი დაარსების უფლება, თუ ეს ქმედება არ არღვევს სხვა ადამიანების უფლებებს.

## **16. პირადი ცხოვრების დაცვის უფლება**

ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში სხვა ადამიანების ჩარევისაგან, ჭორისა და ცილისწამებისაგან, ისევე, როგორც აქვს საკუთარი საცხოვრებლისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლება.

## **17. საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

მასმედია ვალდებულია, მიანოდოს ბავშვს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება ბავშვის სოციალური, კულტურული,

შემეცნებითი და ზნეობრივი განვითარებისათვის და რომელიც პატივს სცემს მის კულტურულ ტრადიციებს. სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ისეთი მასალების პუბლიკაციას, რომლებსაც გარკვეული ღირებულება აქვს ბავშვებისათვის, და დაიცვას ბავშვები ზიანის მომტანი პუბლიკაციებისაგან.

**18. მშობლების პასუხისმგებლობა**  
ორივე მშობლის უპირველესი მოვალეობაა ბავშვის აღზრდა და ამაში სახელმწიფომ მათ ყველანაირად უნდა დაუჭიროს მხარი.

**19. ბავშვების დაცვა ძალადობისა და უგულბებლყოფისაგან**  
სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვები მშობლების ან ბავშვებზე მზრუნველი სხვა პირების მიერ ჩადენილი ნებისმიერი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან და განახორციელოს ძალადობის პრევენციისა და დაზარალებულთა მკურნალობის პროგრამები.

**20. ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვების დაცვა**  
სახელმწიფო ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოჯახურ გარემოს მოკლებულ ბავშვებს და შეუქმნას მათ შესაფერისი ალტერნატიული გარემო სხვა ოჯახსა თუ დანესებულებაში, ბავშვების კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით.

**21. შვილად აყვანა**  
იმ ქვეყნებში, სადაც შვილად აყვანა ნებადართულია, გაშვილება უნდა მოხდეს ბავშვის ინტერესების

გათვალისწინებით, ბავშვის უსაფრთხოების გარანტიების არსებობისა და კომპეტენტური ორგანოების დასტურის საფუძველზე.

**22. ლტოლვილი ბავშვები**  
განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ ლტოლვილი ან ლტოლვილის სტატუსის მიღების მსურველი ბავშვები. სახელმწიფო ვალდებულია, ითანამშრომლოს იმ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან, რომლებიც უფლებამოსილი არიან ასეთი დახმარებისა და მფარველობის აღმოსაჩენად.

**23. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები**  
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს აქვთ უფლება, სარგებლობდნენ განსაკუთრებული მზრუნველობით, მიიღონ სპეციალური განათლება და მომზადება, რაც დაეხმარება მათ მაქსიმალური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და პოტენციალის გამოვლენაში და მისცემს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას.

**24. ჯანმრთელობა და სამედიცინო მომსახურება**  
ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს უმაღლესი დონის სამედიცინო დახმარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველად და პროფილაქტიკურ სამედიცინო დახმარებას, განათლებას საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებით და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირებას. სახელმწიფო ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ აღმოფხვრას ზიანის მომტანი ტრადიციული სამედიცინო პრაქტიკა.

ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა.

### **25. მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვის მდგომარეობის პერიოდული შემოწმება**

იმ შემთხვევაში, თუ ხდება მოვლა-პატრონობის, დაცვის ან მკურნალობის მიზნით ბავშვის დაბინავება რომელიმე დაწესებულებასა თუ ოჯახში, აუცილებელია რეგულარული შემოწმება იმ ახალი გარემოსი, სადაც ბავშვი ცხოვრობს.

### **26. სოციალური დაცვა**

ბავშვებს აქვთ უფლება, ისარგებლონ სოციალური დაცვით.

### **27. ცხოვრების დონე**

ყველა ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების სათანადო დონით. ამის უზრუნველყოფა მშობლების უპირველესი მოვალეობაა, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, მშობლებს შეუქმნას ყველა პირობა ამ მოვალეობის შესასრულებლად. სახელმწიფო შეიძლება დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ბავშვებს ან მოსთხოვოს იმ მშობლებსა თუ მეურვეებს, რომლებმაც ბავშვები მიატოვეს, აანაზღაურონ ბავშვის მოვლისათვის საჭირო ხარჯები.

### **28. განათლება**

ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს უფასო და სავალდებულო განათლება სულ მცირე დაწყებით დონეზე მაინც. სასკოლო საგნების სწავლების მეთოდებმა არ უნდა შელახოს ბავშვის ღირსება. ამ

უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა.

### **29. განათლების მიზნები**

სახელმწიფომ უნდა აღიაროს, რომ განათლების მიზანია ბავშვის პიროვნებისა და ნიჭის განვითარება, მისი მომზადება მომავალი აქტიური ცხოვრებისათვის, მასში ადამიანის უფლებების, საკუთარი თუ სხვისი ეროვნული და კულტურული ფასეულობებისადმი პატივისცემის აღზრდა.

### **30. მკვიდრი მოსახლეობის ან ეროვნულ უმცირესობათა ბავშვები**

მკვიდრი მოსახლეობისა და ეროვნულ უმცირესობათა ბავშვებს უფლება აქვთ, ეზიარონ საკუთარ კულტურას, ისარგებლონ საკუთარი ენითა და რელიგიით.

### **31. გართობა, დასვენება და კულტურული ცხოვრება**

ბავშვებს აქვთ გართობისა და დასვენების, კულტურულ ცხოვრებასა და ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

### **32. ბავშვთა შრომა**

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცავს ბავშვები ისეთი შრომისაგან, რომელიც საზიანოა ბავშვის ჯანმრთელობისათვის, უშლის ხელს მის განათლებას და განვითარებას. მან უნდა დაადგინოს შრომისათვის შესაფერისი მინიმალური ასაკი და კონტროლი გაუწიოს შრომის პირობებს.

### **33. ნარკოტიკების გამოყენება**

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებისაგან,



ამ ნივთიერებათა წარმოებასა და გავრცელებაში მონაწილეობისაგან.

**34. სექსუალური ექსპლუატაცია**  
ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს სექსუალური ექსპლუატაციისაგან, მათ შორის პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში მონაწილეობისაგან.

**35. ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვების გატაცება და ტრეფიკინგი**  
სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვების გატაცებასა და ტრეფიკინგს.

**36. ექსპლუატაციის სხვა ფორმები**  
ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ყველა სახის ექსპლუატაციისაგან, რომელიც არ არის გათვალისწინებული 32-35 მუხლებში.

**37. ნამება და თავისუფლების აღკვეთა**  
აკრძალულია ნამება, სასტიკი მოპყრობა ან დასჯა, ფიზიკური დასჯა და სამუდამო პატიმრობა. დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც უკიდურესი ზომა და ისიც მაქსიმალურად შეზღუდული პერიოდით. ბავშვს აქვს უფლება შესაბამისი მოპყრობისა, სასჯელის მოზრდილებისგან განცალკევებით მოხდისა, საკუთარი ოჯახის წევრებთან ურთიერთობისა და შესაფერისი იურიდიული დახმარების მიღებისა.

